

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 874

ქ. ბათუმი, 28 თებერვალი 2018 წ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმის განსაზღვრისა და რეორგანიზაციის მეორე ეტაპის დაწყების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილებისა და „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის დაწყების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 31 იანვრის N455 ბრძანების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაიწყოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის მეორე ეტაპი - მერიის რეორგანიზაციისათვის აუცილებელი სამართლებრივი აქტების ცვლილებების მომზადება და ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტის შემუშავება.

2. შეიქმნას რეორგანიზაციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი - ლაშა კომახიძე;

ბ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი - თენგიზ პეტრიძე;

გ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ლელა სურმანიძე;

დ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ვახტანგ გედენიძე;

ე) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - კახა დიასამიძე.

3. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმა, შემდეგი სახით:

ა) სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მთლიანად ან ნაწილობრივ ახალი სტრუქტურისა და მისგან გამომდინარე შესაბამისი სამართლებრივი აქტების (სამტატო ნუსხა, დებულებები და საჭიროების შემთხვევაში სხვა სამართლებრივი აქტები) პროექტების შემუშავება;

ბ) არაუგვიანეს 2018 წლის 10 მარტისა სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდეს მომზადებული მერიის ახალი სტრუქტურის და მისგან გამომდინარე შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის განსახილველად და დასამტკიცებლად წარდგენა, რომლებიც დამტკიცების შემთხვევაში უნდა ამოქმედდეს 2018 წლის 01 მაისიდან;

გ) მერიის ახალი სტრუქტურის საკრებულოს მიერ დამტკიცების შემდეგ, არაუგვიანეს 2018 წლის 01 აპრილისა სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელდეს:

გ.ა) იმ პირთა განსაზღვრა, ვინც რეორგანიზაციის გამო კომპეტენციის გათვალისწინებით შეიძლება გადაყვანილ იქნეს სხვა პოზიციაზე;

გ.ბ) იმ პირთა (მოხელეები/შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები) განსაზღვრა, ვინც შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან შტატების შემცირების გამო, ვისაც შეიძლება შეუწყდეს შრომითი ხელშეკრულებები ორგანიზაციული ცვლილებების გამო და უზრუნველყოს ამ პირთა (თანამშრომელთა), არაუგვიანეს 2018 წლის 01 აპრილისა, გაფრთხილება რეორგანიზაციის შესაძლო შედეგებთან დაკავშირებით;

დ) ამ ბრძანების მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირების განსაზღვრისას, საჭიროებისას, სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, იმ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მონაწილეობა, რომელშიც არის დასაქმებული მოსამსახურე;

ე) რეორგანიზაციის მე-3 ეტაპი - მობილობა დაიწყოს არაუგვიანეს 2018 წლის 01 აპრილისა, ამ მიზნით სამუშაო ჯგუფმა მოამზადოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტი. სამუშაო ჯგუფმა არაუგვიანეს 2018 წლის 01 აპრილისა უზრუნველყოს მობილობას დაქვემდებარებულ პირთა (თანამშრომელთა) შესახებ სსიპ „საჯარო სამსახურის ბიურო“-ს წერილობითი ინფორმირება. მობილობა განხორციელდეს არაუგვიანეს 2018 წლის 01 მაისისა, სსიპ „საჯარო სამსახურის ბიურო“-სთან თანამშრომლობის საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ვ) მოხელეთა მობილობის შეუძლებლობის შემთხვევაში შტატების შემცირების გამო მოხელეთა გათავისუფლება და რეზერვში ჩარიცხვა, ასევე ორგანიზაციული ცვლილებების გამო მოსამსახურეებისათვის შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტა, განხორციელდეს არაუგვიანეს 2018 წლის 01 მაისისა.

4. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსს და შესაბამის საკონკურსო კომისიას 2018 წლის 1 აპრილიდან ახალი საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ ვაკანტურ პოზიციებზე კონკურსების გამოცხადების მიზნით, მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად, შესაბამისი პროცედურული და სამართლებრივი (მათ შორის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამუშაო აღწერილობების პროექტების მომზადება და სხვა) ღონისძიებების განხორციელება და კონკურსის გამოცხადება.

5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის საქმისწარმოების განყოფილების უფროსმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების მერიის ვებგვერდზე (www.batumi.ge) გამოქვეყნება. ბრძანება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამით დაეგზავნოს მერიის თანამშრომლებს.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი